



საგნის ბიზნეს ობიექტი

ვნახოთ როგორ ხდება საგნის ბიზნეს ობიექტთან მუშაობა. კერძოდ საგნის ბიზნეს ობიექტის გამოყენებით შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები:


1. [საგნების სიის ამოღება, ფილტრაცია](#)
2. საგნის დამატება, კორექტირება, წაშლა.
 - 2.1 [საგნის დამატება](#)
 - 2.2 [საგნის კორექტირება](#)
 - 2.3 [საგნის წაშლა](#).
3. [დაკავშირებული ერთეულის დამატება](#)

საგნების სიის ამოღება, ფილტრაცია


ვნახოთ როგორ ხდება მაკროსით საგნების სიის ამოღება. გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები“. იხილავთ მაკროსების სიას, რაც სისტემას მიყვება. ახალი მაკროსის დასამატებლად დააჭირეთ დამატების ღილაკს- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „GetItemsList“, ხოლო კომენტარში-„საგნების სიის ამოღება“




დააჭირეთ ღილაკს OK. ნახავთ რომ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი დაემატება მაკროსების სიაში.




კომენტარი	დასახელება	მაკროსის ტიპი
დებიტორ/კრედიტორის კორექტირება	EditDebitorCreditor	0 - უნივერსალური მაკროსი
დებიტორ/კრედიტორის წაშლა	DeleteDebitorCreditor	0 - უნივერსალური მაკროსი
დებიტორ/კრედიტორის ანგარიშის გახსნა მე-2 მეთოდით	CreateDebit/CreditAccoun_2dMethod	0 - უნივერსალური მაკროსი
საგნის ანგარიშის გახსნა მე-2 მეთოდით	CreateItemAccount_2Method	0 - უნივერსალური მაკროსი
დებიტორ/კრედიტორის მისამართის დამატება	AddDebitorCreditorAdress	0 - უნივერსალური მაკროსი
დებიტორ/კრედიტორის ტელეფონის ნომრის დამატება	AddDebitorCreditorPhone	0 - უნივერსალური მაკროსი
საგნების სიის ამოღება	GetItemsList	0 - უნივერსალური მაკროსი


მაკროსში ცვლილებების შესატანად, ფორმულების დასაწერად გავხსნათ მაკროსი. ამისათვის ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს  .




იგივე ლილაკის გამოყენება შეგიძლიათ ამოცანების მენიუდან „ინსტრუმენტები/გავხსნათ მაკროსი F11“





იხილავთ ეკრანს, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. ძირითად ეკრანში ხდება მაკროსის ოპერატორების (ფორმულების) დამატება, ხოლო ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია სისტემის მიერ გამზადებული ობიექტების სია, რომელიც დაგვეხმარება მაკროსების წერაში.




ჩვენი მიზანია ამოვიღოთ საგნების სია. ამისათვის გამოვიყენოთ სისტემის მიერ გამზადებული ბიზნეს ობიექტი (Business Object), რომელიც მდებარეობს ეკრანის მარჯვენა ნაწილში. მაუსით დააჭირეთ Business Object -ის წინ არსებულ „+“ ნიშანს და გაშალეთ „BO_Item“




საგნების სიის ამოსაღებად აირჩიეთ  ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება დებიტორ/კრედიტორების ამოღებისთვის საჭირო ბრძანება.




“Table1” იქნება საგნების ცხრილი. ეკრანზე გამოვიტანოთ ცვლადების არე (თუ რა თქმა უნდა არ არის გამოტანილი), რომელშიც განთავსდება მაკროსის შესრულების შედეგად შევსებული ცვლადების სიდიდეები. ამისათვის აირჩიეთ მენიუ „ხედვა/ცვლადების სიდიდეები“




გავუშვათ მაკროსი შესრულებაზე ლილაკით , რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეკრანის ქვედა ნაწილში „ცვლადების არეში“ გამოჩნდება ცვლადების ჩამონათვალი, სადაც შეგეძლება ნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიიღო თითოეულმა ცვლადმა (ჩვენს შემთხვევაში: Table1) და აქვე ჩანს ცვლადის ტიპი: ტექსტურია, რიცხვითი, კი და არას ტიპის და ა.შ. (ჩვენი ცხრილის შემთხვევაში Empty)


Name	Value	VarType
Table1		Empty


ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.




აირჩიეთ „Table1“. იხილავთ საგნების ცხრილს.





როგორც ხედავთ საგნების ცხრილის ამოღების ფუნქციამ ამოიღო სისტემაში, საგნების სიაში არსებული ყველა ჩანაწერი (საგანი, მომსახურება, ძირითადი საშუალება), თუმცა შესაძლებელია გავფილტროთ სია ჩვენთვის სასურველი კრიტერიუმით და ისე დავაფორმიროთ ცხრილი. ყურადღება მიაქციეთ, რომ სიაში ველში „Item type“ ჩანაწერებს განსაზღვრული აქვთ საგნის ტიპი- (0-საგანი, 1-ძირითადი საშუალება, 2- მომსახურება). მაგალითისთვის გავფილტროთ სია, ისე რომ ცხრილი დაფორმირდეს მხოლოდ საგნების ჩამონათვალით. ამისათვის მაკროსში საგნების ცხრილის ამოღების ფუნქციის შესაბამის ცვლადს (Table1) მესამე პარამეტრად უნდა გადავცეთ ფილტრის SQL ბრძანება. თუ თქვენ ფლობთ SQL ენას, ბრძანება შეგიძლიათ თქვენ თვითონ დაწეროთ. მაგალითად გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მუხის ორჯერ დაწკაპებით და მე-3 პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში და კვადრატულ ფრჩხილებში ჩაწერეთ შემდეგი ბრძანება „[Item type]=0“. თუმცა გაითვალისწინეთ რომ, სისტემა საშუალებას გაძლევთ გავფილტროთ საგნების სია თქვენთვის სასურველი კრიტერიუმით და სისტემის მიერ დაფორმირებული SQL ბრძანება გამოიყენოთ მაკროსში. განვიხილოთ მაგალითი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები და ინსტრუმენტების ბოლიდან აირჩიეთ დილაკი . იხილავთ ფილტრის ეკრანს. ეკრანი გაფილტრეთ შემდეგნაირად



გადადით ბარათში „SQL“





როგორც ხედავთ სისტემამ ავტომატურად დააფორმირა საგნების სიის ფილტრის შესაბამისი SQL ბრძანება. მონიშნეთ ბრძანება, გააკოპირეთ და დახურეთ ფილტრის ეკრანი. გადადით მაკროსის ანყობის ეკრანზე, გააკორექტირეთ ცვლადის "Table1" შესაბამისი ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაწკაპებით და მესამე პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში ჩასვით გაკოპირებული ბრძანება. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე: BO_Item.GetDataTable(ActiveDatabase , 0, "[ViewOA_Items].[Item type]=0", "") ვნახოთ როგორ შეავსებს ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსი საგნების ცხრილს. ღილაკების ბოლიდან აირჩიეთ ღილაკი  და ცვლადების არეში ჩამოშლადი სიიდან აირჩიეთ "Table1"





როგორც ხედავთ საგნების ცხრილი „Table1“ გაიფილტრა ჩვენს მიერ გაფილტრული მონაცემებით.

საგნის დამატება


მაკროსების საშუალებით ასევე შესაძლებელია ახალი საგნის დამატება, თვისების მინიჭება/კორექტირება და წაშლა. განვიხილოთ მაგალითი. დავამატოთ საგანი: შტრის კოდი 0001-1. დასახელება -საგანი1. გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები“. დაამატეთ ახალი მაკროსი ღილაკით- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „AddItem“, ხოლო კომენტარში-„საგნის დამატება“



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ "BO_Item/AddNew" მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.






საგნის დამატების შემდეგ აუცილებელია მივანიჭოთ მას გარკვეული თვისებები. ჩვენს შემთხვევაში საგანს განვუსაზღვროთ კოდი და დასახელება. ამისათვის ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Item / Code /Set“



დაემატება ცვლადი BO_Item.Code. გააკორექტირეთ ცვლადის შესაბამისი ბრძანება მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და მიუთითეთ შტრიხ კოდი „0001-1“. ამის მსგავსად დებიტორ/კრედიტორს მივანიჭოთ დასახელება. ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Item /Name/Set“. გააკორექტირეთ ახალ დამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ დასახელება - „საგანი1“. საგანი რომ დაემატოს და შენახულ იქნას მონაცემთა ბაზაში, დადექით ბოლო ცვლადზე და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Item/Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	- BO_Item.AddNew(ActiveDatabase)
2	BO_Item.Code	"0001-1"
3	BO_Item.Name	"საგანი1"
▶ 4	Variable2	BO_Item.Update()


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“





კოდი	OA_ItemsID	დასახელება	ერთეული	სააღრიცხვო მშობელი ანგარიში	გაყიდვის ფასი
0004	4	სკამი	ცალი	1690	
0005	5	მაგიდა	ცალი	1690	
0033	33	საქონელი1	ცალი		
0034	34	საქონელი2	ცალი		
0001-1	37	საგანი1	ცალი		


როგორც ხედავთ სიაში დაემატა საგანი.

საგნის კორექტირება

მაკროსის საშუალებით ასევე შესაძლებელია საგანს შევუცვალოთ თვისება. მაკროსის საშუალებით გავაკორექტიროთ ჩვენს მიერ დამატებული საგანი (შტრის კოდი: 0001-1, საგანი1) და შევუვსოთ ჯგუფის ველი მაგალითად „მასალა“. ამისათვის დაგვუნდეთ მაკროსების სიაში და დავამატოთ ახალი მაკროსი ღილაკით- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „EditItem“, ხოლო კომენტარში-„საგნის კორექტირება“





დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . იმისათვის რომ საგანი გავაკორექტიროთ, თავდაპირველად უნდა მოხდეს გასაკორექტირებელი საგნის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_Item/ GetByCode“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



ბრძანების ხაზში `BO_Item.GetByCode("", ActiveDatabase)` ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ გასაკორექტირებელი საგნის შტრის კოდი, ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „0001-1“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი `BO_Item.GetByCode("0001-1", ActiveDatabase)`. ჯგუფის მისათითებლად ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი `Variable1` და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, საგნების ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Item/ ItemGroup/Set“. გააკორექტირეთ ახლდამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ „მასალა“. საბოლოო შედეგის მისაღებად მონიშნეთ ბოლოს დამატებული ცვლადი და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_Item /Update“. მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

ცვლადი	ბრძანების ხაზი	კომე
1 Variable1	<code>BO_Item.GetByCode("0001-1", ActiveDatabase)</code>	
2 BO_Item.ItemGroup	„მასალა“	
3 Variable2	<code>BO_Item.Update()</code>	

გაითვალისწინეთ, რომ ბრძანებაში გამოყენებული საგნის ჯგუფის დასახელება (ჩვენს შემთხვევაში „მასალა“) აუცილებლად უნდა იყოს მონაცემთა ბაზის შესაბამის ცხრილში დამატებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ უნდა დაამატოთ საგნის ჯგუფი და შემდეგ გამოიყენოთ ჯგუფის მინიჭების ბრძანებაში. საგნის ჯგუფების ნახვა შესაძლებელია შემდეგ მარშრუტზე „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნის ჯგუფები“.


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ბოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დანერგულ მაკროსმა შეავსო თუ არა საგნის ჯგუფი. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“

კოდი	OA_ItemsID	დასახელება	ერთეული	საარციფვი: მშობელი ანგარიში	გაციდვის ფასი	ვალუტ.	გაციდვის ერთეული	ჯგუფი
0004	4	სკამი	ცალი	1690				
0005	5	მაგიდა	ცალი	1690				
0033	33	საქონელი1	ცალი					
0034	34	საქონელი2	ცალი					
0001-1	37	საგანი1	ცალი					

როგორც ხედავთ სიაში საგანს „საგანი1“ მიეთითა ჯგუფი.

საგნის წაშლა

ვნახოთ როგორ ხდება მაკროსის საშუალებით საგნის წაშლა. გადადით მაკროსების სიაში. დაამატეთ კიდევ ერთი მაკროსი და შეავსეთ ფანჯარა შემდეგნაირად



დააჭირეთ ღილაკს OK. ცვლილებების, ფორმულების შესატანად გახსენით ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_ Item/Delete“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში BO_ Item.Delete("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ წასაშლელი საგნის შტრის კოდი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „0001-1“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი BO_ Item.Delete("0001-1", ActiveDatabase). შედეგის მისაღებად მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_ Item /Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_ Item.Delete("0001-1", ActiveDatabase)
▶ 2	Variable2	BO_ Item.Update()

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დანერგულ მაკროსმა წაშალა თუ არა საგანი. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“ განაახლეთ ეკრანი. დაინახავთ რომ საგანი შტრის კოდით 0001-1 სიაში აღარ დაგხვდებათ.

დაკავშირებული ერთეულის დამატება

მაკროსის საშუალებით საგანს დავუმატოთ დაკავშირებული ერთეული. თავდაპირველად დავამატოთ ახალი საგანი შტრის კოდით 0001-2 , დასახელება -ფქვილი. ერთეული- კგ. დავუკავშიროთ ერთეული ტომარა და მაგალითისათვის ჩავთვალოთ რომ არის 50კგ-იანი ტომარა. საგნის დასამატებლად გამოვიყენოთ ჩვენს მიერ დანერგული საგნის დამატების მაკროსი “AddItem”. გადადით მაკროსების სიაში. მოძებნეთ მაკროსი AddItem და გახსენით ღილაკით . ხილავთ საგნის დამატების მაკროსს.


	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Item.AddNew(ActiveDatabase)
2	BO_Item.Code	"0001-1"
3	BO_Item.Name	"საგანი1"
▶ 4	Variable2	BO_Item.Update()

გააკორექტირეთ ცვლადის BO_Item.Code შესაბამისი ბრძანების ხაზი და შეცვალეთ შტრის კოდი „0001-2“. ამის მსგავსად შეცვალეთ დასახელება „ფქვილი“. გაითვალისწინეთ, რომ მაკროსში გამოყენებული ერთეულები ჩვენს შემთხვევაში „ტომარა“ და „კვ“ აუცილებლად უნდა იყოს მონაცემთა ბაზის შესაბამის ცხრილში დამატებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ უნდა დაამატოთ ერთეულები და შემდეგ გამოიყენოთ მაკროსის ბრძანებაში. ერთეულების ნახვა შესაძლებელია შემდეგ მარშრუტზე „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/ერთეულების სია“.

თავდაპირველად საგანს განვუსაზღვროთ მინიმალური ერთეული. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი BO_Item.Name და ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ Business Object/BO_Item/Unit/ Set. გააკორექტირეთ ახალდამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და ორმაგ აპოსტროფებში მიუთითეთ „კვ“.



	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Item.AddNew(ActiveDatabase)
2	BO_Item.Code	"0001-2"
3	BO_Item.Name	"ფქვილი"
▶ 4	BO_Item.Unit	"კვ"
5	Variable2	BO_Item.Update()


დაკავშირებული ერთეულის დასამატებლად უნდა გამოვიყენოთ ობიექტი GetDataTableItemUnits, რათა ამოვიღოთ საგნის შესაბამისი დაკავშირებული ერთეულების ცხრილი. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი BO_Item.Unit და ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_Item / GetDataTableItemUnits“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



დანიხავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ცხრილის ამოსაღებად საჭირო ბრძანება.

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Item.AddNew(ActiveDatabase)
2	BO_Item.Code	"0001-2"
3	BO_Item.Name	"ფქვილი"
4	BO_Item.Unit	"კგ"
▶ 5	Table1	BO_Item.GetDataTableItemUnits(0)
6	Variable2	BO_Item.Update()

„Table1“ იქნება ჩვენს მიერ დამატებული საგნის შესაბამისი დაკავშირებული ერთეულების ცხრილი. სწორედ ამ ცხრილში უნდა დავამატოთ დაკავშირებული ერთეული, ჩვენს შემთხვევაში ტომარა. ცხრილში ჩანანერის დასამატებლად ბრძანების არეში დადებით ცვლადზე Table1 და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Memory object/Tables/AddNewRecord“. გავუშვათ მაკროსი შესრულებაზე რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. სანამ გავუშვებდეთ მაკროსს შესრულებაზე და დავასრულებდეთ ყველა ბრძანების დაწერას, დავბლოკოთ (დავაკომენტაროთ) ცვლადი Variable2, რათა მაკროსის გამშვების დროს რეალურად არ მოხდეს საგნის დამატება მონაცემთა ბაზაში. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი Variable2 და ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . Variable2 ცვლადი მიიღებს მწვანე შეფერილობას. ღილაკით  გაიშვით მაკროსი შესრულებაზე და ეკრანის ქვედა ნაწილში, ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.




აირჩიეთ „Table1“. იხილავთ ბიზნეს ობიექტის მიერ დაფორმირებულ დაკავშირებული ერთეულების ცხრილს.

	OA_ItemsID	Measure	Stock register rate	OA_ItemStockU	RelatedOA_Stoc	Related unit	Related unit quantity	Code	SequenceNumber	Register unit
▶ 1	0	1	0	0			1			= 30



როგორც ხედავთ ცხრილში „Table1“ ჩანანერის დამატების შემდეგ ველში „Register unit“ ავტომატურად მიეთითა საგნის მინიმალური ერთეული კგ. ჩვენი მიზანია ცხრილში აღნიშნულ ჩანანერს შევუვსოთ დაკავშირებული ერთეული და განზომილება. (ტომარა=50 კგ). ვნახოთ როგორ ხდება ცხრილში არსებული ჩანანერისთვის მნიშვნელობების მინიჭება. დაკავშირებული ერთეულის მისათითებლად მონიშნეთ ცხრილის ქუდი „Related unit“,

რათა ცხრილში მნიშვნელობის მინიჭების ფუნქციამ ავტომატურად დააფორმდოს იმ ცხრილის და ველის დასახელება, სადაც შეგვაქვს მნიშვნელობები.

Table1										
	OA_ItemsID	Measure	Stock register rate	OA_ItemStockU	RelatedOA_Stoc	Related unit	Related unit quantity	Code	SequenceNumber	Register unit
▶ 1	0	1	0	0			1			= კპ

ფორმულების არეში დადებით ცვლადზე "Variable3" და ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული ობიექტების მენიუდან აირჩიეთ „Memory object/Tables/SetFieldValue“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში Tables.SetFieldValue("Table1", 1, " Related unit", "") ფუნქციის პირველი პარამეტრი „Table1“ არის დაკავშირებული ერთეულების ცხრილი, ფუნქციის მეორე პარამეტრი -1 აღნიშნავს ჩანაწერის ინდექსს, ჩვენს შემთხვევაში პირველ ჩანაწერს. ფუნქციის მესამე პარამეტრი „Related unit“- დაკავშირებული ერთეულის ველს, ხოლო მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ დაკავშირებული ერთეული, მაგალითად „ტომარა“. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი, ორჯერ დაანკაპეთ ამ ფორმულაზე და მე-4 პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში მიუთითეთ „ტომარა“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Related unit", "ტომარა"). ამავე ცხრილში შევავსოთ განზომილების ველიც. ამისათვის ცვლადების არეში მონიშნეთ ცხრილის „Table1“ ქუდი „Measure“, ისევ აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue“ და ბრძანების ხაზში მე-4 პარამეტრში მიუთითეთ მაგალითად 50. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე - Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Measure", 50). იმისათვის რომ საგანი დაკავშირებული ერთეულით დაემატოს და შენახულ იქნას მონაცემთა ბაზაში, განვბლოკოთ (მოვუხსნათ კომენტარი) ცვლადი Variable2. ამისათვის მონიშნეთ აღნიშნული ცვლადი და ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Item.AddNew(ActiveDatabase)
2	BO_Item.Code	"0001-2"
3	BO_Item.Name	"ფქვილი"
4	BO_Item.Unit	"კპ"
5	Table1	BO_Item.GetDataTableItemUnits(0)
6	Variable3	Tables.AddNewRecord("Table1"
7	Variable4	Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Related unit", "ტომარა")
8	Variable5	Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Measure", 50)
9	Variable2	BO_Item.Update()

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბულალტერია/დაკავშირებული ცხრილები/საგნები“. განაახლეთ ეკრანი. დაინახავთ რომ სიაში დაემატა საგანი შტრის კოდით „0001-2“ გააკორექტირეთ ჩანაწერი.

საქონელი

მტრის კოდი 0001-2 44

დასახელება ფევილი

სააღრიცხვო მინიმალური ერთეული კგ

სააღრიცხვო მშობელი ანგარიში

საგნის ჩამოწერის ხარჯის ანგარიში

გაყიდვის ფასი 0

გაყიდვის ერთეული 0 %

აქციზის განაკვეთი 0

ჯგუფი

მწარმოებელი

მწარმოებლის ნომერი

ვარგისიანობის თარიღი

დახურვის თარიღი

დღ-ს ტიპი ჩვეულებრივი

საინვენტარიზაციო ნომერი

დაკავშირებული ერთეულები კომენტარი

დაკავშირებული ერთეული	განზომილება	სააღრიცხვო ერთეული
ტომარა	=	50.0000 კგ

შევიწახოთ უარი

როგორც ხედავთ, ეკრანის ქვედა ნაწილში ბარათში „დაკავშირებული ერთეულები“ დაემატა ტომარა.